

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №5/5, 19.03.2019

სენატის თავჯდომარე, რექტორი, პროფესორი



_____ ი. შარაბიძე

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი

ND 2-F19

შეთანხმებულია:

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

_____ ლ.სიხარულიძე

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი

_____ ლ.ჯაყელი



შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3
2	ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები	3
3	მიზანი	4
4	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები	4
5	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები	6
6	აკადემიური მოსწრების ანალიზი	6
7	სწავლის შედეგების რუკა	7
8	კლასიფიკაცია	8
9	შეფასების ხერხები	9
10	დამსაქმებელთა გამოკითხვა/ინტერვიუირება	10
11	სამიზნე ნიშნულები და შედეგების შეფასების მონიტორინგი	11
12	დანართი 1. დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასების ფორმა	12
13	გავრცელების არე	13



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
3. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
4. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
5. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

2. ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები

2.1. ტერმინები

1. **პროცესი** - რესურსებისა და საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც მიწოდებულ საწყის მოცემულობას (შემავალს) გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (გამოსასვლელად);
2. **რესურსი** - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
3. **ნორმატიული დოკუმენტი** - შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;

2.1 შემოკლებები

1. ND – ნორმატიული დოკუმენტი;
2. აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;



3. მიზანი

3.1. წინამდებარე წესის მიზანია, განსაზღვრული მეთოდებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის, კონკურენტუნარიანობისა და განვითარების მიმართულებების დადგენა და ხელშეწყობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები

4.1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის, დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგების ანალიზისა და საჭიროებისამებრ ცალკეული ერთჯერადი ღონისძიების მეშვეობით, რომელსაც მიზანშეწონილობის სათანადო წერილობითი დასაბუთებით, განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელის, კურსკულუმის კომიტეტის, აკადემიური დეპარტამენტის წევრთა უმრავლესობის, ფაკულტეტის ან აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების, რექტორის და მისი მოადგილეების ინიციატივით შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო;

4.2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის კოორდინაციაზე/ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს შესაბამისი დოკუმენტების წარმოებას;

4.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, მასალების შეგროვებას და დამუშავებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი;



- 4.4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ექვემდებარება საჯარო განხილვას და შესაბამისი მიგნებების გათვალისწინებას, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტს.
- 4.5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:
1. შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გასწორების შესახებ;
 2. შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების უმნიშვნელოდ ცნობის შესახებ, რომელიც არ საჭიროებს რეაგირებას;
 3. შეფასების შედეგების ცნობად მიღების შესახებ;
 4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ხელახლა შეფასების შესახებ;
 5. შეფასების შედეგების იმპლემენტაციის თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების განსაზღვრის შესახებ. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების რეალიზაციას.
- 4.6. გადაწყვეტილებას სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ღებულობს ფაკულტეტის საბჭო



5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ისეთი მეთოდების მეშვეობით, როგორცაა: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და დამსაქმებელთა გამოკითხვებით/ინტერვიუებით.

6. აკადემიური მოსწრების ანალიზი

აკადემიური მოსწრების ანალიზის საშუალებით შესაძლებელია პროგრამისა და სილაბუსის შინაარსობრივი, სტრუქტურული მონაცემების დამუშავება, პროცენტული განაწილების დინამიკის შესწავლა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა, რაც იძლევა სასწავლო კურსის შინაარსის სიმარტივისა და სირთულის განსაზღვრის შესაძლებლობას, შერჩეული შესასწავლი თემების მართებულობას, სისტემურობასა და თანმიმდევრულობას, ლექტორების მიერ შეფასების ფორმების, მიზნების, თემების, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შედეგების თანხვედრას, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის რეალისტურობას.

უნდა დაიგეგმოს სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- თემატიკა;
- მოცულობა;
- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ



7. სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია სწავლის შედეგების რუკა, რაც იძლევა პროგრამის და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების დადარების საშუალებას. რომელიც თვალნათლივ აჩვენებს რომელი კურსით/კურსებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველყოფა.

გამოსახვის სქემა:

N	პროგრამის სწავლის შედეგები	სემესტრები							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	შედეგი 1	17	21	23					
2	შედეგი 2				19	23	25	29,30	
3	შედეგი 3			6	12	18			
4	შედეგი 4							33	34
5	შედეგი 5	18					26		
6	შედეგი 6		24						31

რუკიდან ჩანს, რომ მაგ.შედეგი 2-ის ფორმირება ხორციელდება IV – VII სემესტრის განმავლობაში სასწავლო გეგმაში 19, 23, 25, 29, 30 ნომრით აღნიშნული 5 სასწავლო კურსით.



8. კლასიფიკაცია

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ინსტრუმენტია კლასიფიკაცია და გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ისე შემაჯამებელი შეფასებისთვის. ანალიზის სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენება ჰოლისტიკური ან/და ანალიტიკური კლასიფიკაციები. თითოეული კლასი მოიცავს ინდიკატორებს და კრიტერიუმებს. მაგალითად:

შეფასების ინდიკატორები					
A	B	C	D	E	F
კრიტერიუმები					
ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარი-სად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის შესაძლებლობების არქონის ჩვენება



9. შეფასების ხერხები

- 9.1. შეფასების ხერხებს განეკუთვნება ბეჭდვითი ფორმების წარმოება და ელექტრონული/ციფრული/დისტანციური საშუალებებით მეშვეობით შეფასების წარმოება. ბეჭდვითი ფორმებით მონაცემთა მოგროვება და დამუშავება ითვალისწინებს ბენიფიციართა შეფასებების შეგროვებას და დამუშავებას, რათა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების თავსებადობა შრომის ბაზართან, ნდობისა და მოთხოვნის დადასტურება და ხარვეზების იდენტიფიცირება.
- 9.2. ელექტრონული/ციფრული/დისტანციური სისტემა ითვალისწინებს საზღვაო აკადემიაში მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაცემთა მოგროვებას და დამუშავებას, რათა განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თოთოეულ სწავლის შედეგს რომ მოხდეს სამიზნე ნიშნულთან შედარება, ამისათვის გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია. პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია წერიტი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა.



10. დამსაქმებელთა გამოკითხვა/ინტერვიუება

- 10.1. დამსაქმებელთა გამოკითხვა/ინტერვიუება წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგების შეფასების გარე მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამის სიცოცხლისუნარიანობის დადგენას.
- 10.2. დამსაქმებელთა გამოკითხვა და ინტერვიუება სამი გზით ხორციელდება წინასწარ შედგენილი სათანადო კითხვარების შევსებით, პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო გასაუბრებით და თანდართული ფორმის მიხედვით მასთან დასაქმებული კურსდამთავრებულის შეფასებით (დანართი 1).
- 10.3. კითხვარი უნდა შედგებოდეს ორი სავალდებულო ნაწილისგან სწავლის შედეგების ქულებით შეფასების გრაფა შეფასებისთვის და კომენტარების ველი.
- 10.4. დამსაქმებელთა შერჩევას, კომუნიკაციის დამყარებასა და მოპოვებული ინფორმაციის დამშავებაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
- 10.5. დამსაქმებელთა გამოკითხვა/ინტერვიუება უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის მესამე გამოშვებიდან ყოველწლიურად. კურსდამთავრებულთა შეფასებას არ ახორციელებს ის დამსაქმებელი, რომელსაც არ ყავს დასაქმებული აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული.
- 10.6. დაუშვებელია დამსაქმებელთა ანონიმური გამოკითხვა/ინტერვიუება. სავალდებულოა დაფიქსირდეს საკონტაქტო პირი, რომელსაც შეუძლია სწავლის შედეგებთან მიღებული ინფორმაციის დაზუსტება, დაკონკრეტება და განმარტება.



10.7. გამოკითხვის ფორმებში საკითხები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

11. სამიზნე ნიშნულები და შედეგების შეფასების მონიტორინგი

11.1. აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სამიზნე ნიშნულებია: სასწავლო საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება განვითარებაზე ზრუნვა;

11.2. ადმინისტრაციული პერსონალისათვის სამიზნე ნიშნულებია საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება თვითგანვითარებაზე ზრუნვა განვითარებაზე ზრუნვა;

11.3. სამიზნე ნიშნულები: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- თემატიკა;
- მოცულობა;
- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

11.4. სამიზნე ნიშნულებთან დადარება: ხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესზე ან რეგრესზე დაკვირვების მიზნით.



დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება -

დამსაქმებელი ორგანიზაცია -

კურსდამთავრებულთა რაოდენობა -

კურსდამთავრებულთა დასაქმების პოზიციები -

დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი და საკონტაქტო ინფორმაცია -

შეფასების ფორმის შევსების თარიღი -

დასაქმებულის კვალიფიკაცია და მოპოვების წელი -

1	ცოდნა/უნარი/კომპეტენცია	შეფასება			
		შესანიშნავი	აკმაყოფილებს	საჭიროებს გადამზადებას	ვერ აკმაყოფილებს
2	თეორიული განსწავლულობა				
3	პრაქტიკული შესაძლებლობები				
4	ინდივიდუალური მუშაობა				
5	გუნდურ ფორმატში მუშაობა				
6	ისწრაფვის სიახლისკენ, თვითგანვითარების უნარები				
7	მოქნილია შენიშვნებისა და რჩევების მიმართ				
8	კოლეგიალობა, ეთიკა და ტოლერანტობა				

✚ შეფასების ველში დამსაქმებელი უთითებს ნებისმიერ აღმნიშვნელ სიმბოლოს, რომელსაც თვლის რომ ესადაგება საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებული.



12. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ეჭემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეჭემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით